

**ინფორმაცია სკოპინგის დასკვნაში დასმული საკითხების გზშ-ში
გათვალისწინების შესახებ**

ინფორმაცია კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ალტერნატიულ საწვავად საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების გამოყენება) შედეგად გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სკოპინგის 14.11.2019 წ. № 114 დასკვნის მიხედვით შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინების შესახებ მოყვანილია ცხრილში 14.23.1.

ცხრილი 21.1.

N	შენიშვნა/წინადადების შინაარსი	პასუხი
1.	<p>სკოპინგის ანგარიშში მოცემული არ არის ინფორმაცია ალტერნატიული საწვავად გამოსაყენებელი საბურავების, ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების რაოდენობის, მიღების პირობების და სიხშირის, ასევე დასაწყობების ადგილებისა და შენახვის პირობების შესახებ. სკოპინგის ანგარიშში დაკონკრეტებული არ არის, თუ რა სახის ნარჩენები იგულისხმება პლასტმასის ნარჩენებში, ასევე ნარჩენები არ არის კლასიფიცირებული საქართველოს მთავრობის დადგენილება №426-ს შესაბამისად.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია, მონაცემები შეტანილია პ.3.1, ცხრილი 3.3.1.1.- ში:</p> <p>ნახშირი - 156,011 ტ საბურავები-13,400 ტ პლასტმასა - 9,380 ტ ნამუშევარი ზეთები - 6,250 ტ ბუნებრივი აირი - 1,180 1000 Nმ³</p> <p>საბურავების და პლასტმასების მოხმარება (იხ. ცხრილი 3.2.9.5.1.) მოხდება არათანადროულად. მითითებულია მაქსიმალური რაოდენობები. ერთერთის მაქსიმალური მოხმარებისას მეორეს მოხმარება არ მოხდება. ასევე შესაძლებელია მათი თანადროული მოხმარება პროპორციულად, მაგ. თუ ნახშირის მოხმარება მაქსიმალური რაოდენობის 60%, ამ შემთხვევაში პლასტმასების მოხმარება იქნება მაქსიმალურის 40%.</p> <p>საბურავების და პლასტმასის ნარჩენებისათვის მოწყობილია ღია საწყობი, ხოლო ნარჩენი ზეთების შენახვისათვის მოეწყობა 50 მ³ მოცულობის რეზერვუარი. რეზერვუარი უზრუნველყოფს ნარჩენი ზეთების 2 დღიან მარაგს. რეზერვუარი აღჭურვილი იქნება დონის მაჩვენებლებით და ჩამკეტი სარქველებით. ასევე გათვალისწინებული იქნება რეზერვუარში მძიმე ზეთებისათვის ცირკულაციის შესაძლებლობა.</p> <p>ნარჩენები კლასიფიცირება მოყვანილია გზშ-ს დანართი 7-ში, ხოლო საწვავად მოსახმარებელი პლასტმასის ნარჩენების სახეობები და მათი კოდები მოცემულია გზშ-ს გზშ-ს პ. 3.2.9.5.-ში (იხ. ცხრილი 3.2.9.5.1.), კერძოდ:</p> <p>02 01 - ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება სასოფლო-სამეურნეო, მეზღვაოების, აკვაკულტურის, მეტყევეობის, სამონადირეო და თევზჭერისაგან; 02 01 04 - ნარჩენი პლასტმასების (გარდა შესაფუთი მასალისა);</p> <p>12 01 - ნარჩენები, რომლებიც წარმოიქმნება ლითონებისა და პლასტმასის ფორმირებისა და ზედაპირების დამუშავებისას; 12 01 05 - პლასტმასის ნაწილაკები;</p> <p>15 01 - შესაფუთი მასალა (ცალკეულად შეგროვებული შესაფუთი მასალის ნარჩენების ჩათვლით); 15 01 03 - პლასტმასის შესაფუთი მასალა</p>

		<p>16 01 - განადგურებას დაქვემდებარებული სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებები (მათ შორის მოწყობილობები) და მწყობრიდან გამოსული და სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო სამუშაოებიდან მიღებული ნარჩენები (13, 14, 16 06 და 16 08-ს გარდა)</p> <p>16 01 19 - პლასტმასი.</p>
2.	<p>სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია, თუ რა მეთოდით და რაოდენობით მოხდება ტექნოლოგიურ ციკლში ალტერნატიულ საწვავად ნარჩენი ზეთების და პლასტმასის ნარჩენების მიწოდება.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია, მონაცემები მოცემულია გზშ-ს პუნქტებში: პ. 3.2.2. - პ. 3.2.9.</p>
3	<p>ობიექტზე სანიაღვრე წყლები წარმოიქმნება ახალი ტექნოლოგიური ხაზის ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 5,354 ჰა-ს. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წელიწადში წარმოიქმნება 1661 მ³ წყალი (დღე-ღამეში 257 მ³). სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის გათვალისწინებულია წყალარინების სისტემის და გამწმენდი სალექარის მოწყობა, რომლის ტიპი, მოწყობის სქემა, პარამეტრები და წარმადობა საჭიროებს დაზუსტებას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად გაწმენდილი სანიაღვრე წყლების ჩაშვება მოხდება მდ. ლეხურაში, თუმცა მითითებული არ არის ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია, მონაცემები შეტანილია: გზშ-ს პ. 4.4. და პ. 4.5.</p> <p>„ჩაშვების წერტილის კოორდინატებია: x – 452280; y – 4640254.</p> <p>მონაცემები აგრეთვე წარმოდგენილია ზდჩ. ანგარიშში. მანძილი კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიიდან მდ. ლეხურამდე (სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილამდე) შეადგენს - 390 მეტრს. გზშ-ს პ. 4.5.).</p>
4.	<p>სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია, დასახლებულ პუნქტთან რა მანძილზე მოხდა გაფრქვევების გაანგარიშება, ასევე ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების წვის შედეგად გამოყოფილი ემისიების შესახებ, კერძოდ გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები,</p> <p>ასევე გაფრქვევების შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების აღწერილობა და გათვლები. ამასთან, დაზუსტებას</p>	<p>დასახლებულ პუნქტებთან მანძილები მოცემულია, როგორც ზდგ-ს პროექტში (გვ. 41) ასევე გზშ-ში (სურათი იხ. ამ ცხრილის ბოლოში!)</p> <p>წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების საჭიროება არ არსებობს, რადგან გაბნევის ანგარიში ჩატარებულია ყველაზე არახელსაყრელი მეტეო პირობებისათვის (ზაფხული), როცა ტემპერატურათა სხვაობა გაფრქვევასა და გარემომცველ ჰაერთან მინიმალურია, რაც სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.</p> <p>მყარი და თხევადი ნარჩენების სარეაქციო ზონაში ტემპერატურა აღწევს 20000C და ამ ზონაში დაყოვნების დრო > 2 წმ-ზე, რითაც</p>

	<p>საჭიროებს წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების მეთოდები. მყარ ნარჩენებთან დაკავშირებით, აგრეთვე დასაზუსტებელია მაღალტემპერატურული წვისას წარმოქმნილი პროდუქტების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები, მათ შორის მდგრადი ორგანული ნაერთების, ასევე საბურავების წვის შედეგად არსებული ფოლადის მდგომარეობა.</p>	<p>უზრუნველყოფილია მდგრადი ორგანული ნაერთების სრული დესტრუქცია. რაც შეეხება საბურავებში არსებულ ფოლადის მავთულს, ამ ტემპერატურაზე იგი გამდნარია და მთლიანად გადადის კლინკერში.</p>
5.	<p>სკოპინგის ანგარიშის თანახმად საწარმოს მიმდებარე ტერიტორიების ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, როგორც 500 მეტრის რადიუსში, ასევე უახლოესი დასახლებული პუნქტის მიმართ არ გადააჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს, თუმცა სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია, დასახლებულ პუნქტთან რა მანძილზე მოხდა გაფრქვევების გაანგარიშება</p>	<p>დასახლებულ პუნქტებთან მანძილები მოცემულია, როგორც ზდგ-ს პროექტში (გვ. 41) ასევე გზშ-ში (სურათი იხ. ამ ცხრილის ბოლოში!)</p>
6.	<p>ასევე ანგარიში არ მოიცავს ინფორმაციას ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების წვის შედეგად გამოყოფილი ემისიების შესახებ, კერძოდ გაფრქვევათა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე გაფრქვევების შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების აღწერილობა და გათვლები.</p>	<p>ალტერნატიული საწვავის წვის ეკოლოგიური მახასიათებლები მოცემულია როგორც ზდგ-ს (გვ.18-19, ასევე გზშ-ს პ. 8.2.3. სადაც გაანალიზებულია კომპეტენტურ ლიტერატურულ წყაროებში მოცემული ინფორმაცია. წარმოდგენილი მონაცემები გვიჩვენებს ერთი მხრივ 100%-ით ქვანახშირის გამოყენების პროცესში ემისიის მახასიათებლებს და მეორე შემთხვევაში ალტერნატიული საწვავის 5-10%-ის ოდენობით ჩანაცვლებისას. რაც იწვევს ცალკეულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა 8 -დან 65%-მდე შემცირებას</p>
7.	<p>ამასთან, დაზუსტებას საჭიროებს წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების მეთოდები.</p>	<p>წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების საჭიროება არ არსებობს, რადგან გაბნევის ანგარიში ჩატარებულია ყველაზე არახელსაყრელი მეტეო პირობებისათვის (ზაფხული), როცა ტემპერატურათა სხვაობა გაფრქვევასა და გარემომცველ ჰაერთან მინიმალურია, რაც სრულად შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.</p>
8.	<p>მყარ ნარჩენებთან დაკავშირებით, აგრეთვე დასაზუსტებელია მაღალტემპერატურული წვისას წარმოქმნილი პროდუქტების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები, მათ შორის მდგრადი ორგანული ნაერთების, ასევე საბურავების წვის შედეგად არსებული ფოლადის მდგომარეობა.</p>	<p>მყარი და თხევადი ნარჩენების სარეაქციო ზონაში ტემპერატურა აღწევს 2000°C და ამ ზონაში დაყოვნების დრო > 2 წმ-ზე, რითაც უზრუნველყოფილია მდგრადი ორგანული ნაერთების სრული დესტრუქცია. რაც შეეხება საბურავებში არსებულ ფოლადის მავთულს, ამ ტემპერატურაზე იგი გამდნარია და მთლიანად გადადის კლინკერში.</p>
9	<p>პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის:</p>	<p>იხ. პასუხი # 6</p>

	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები (მათ შორის ნარჩენი ზეთების, პლასტმასის და საბურავების/რეზინის ნარჩენების წვის შედეგად გამოყოფილი ნივთიერებები), გაბნევის ანგარიში, გაფრქვევითა რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები, ასევე მათი შემცირების ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების აღწერილობა და გათვლები.	
10.	წელიწადის ცხელ და ცივ პერიოდში გაფრქვევების რეგულირების მეთოდები. საბურავების წვის შედეგად არსებული ფოლადის მდგომარეობა და მისი ზემოქმედება გადნობამდე ცეცხლგამძლე ფენაზე;	იხ. პასუხი # 7 და #8
11.	ინფორმაცია ალტერნატიულ საწვავად გამოსაყენებელი ნარჩენების წვის შედეგად წარმოქმნილი სუნის შესახებ და შემარბილებელი ღონისძიებები;	წვის შედეგად სუნი ვერ წარმოიქმნება, რადგან სარეაქციო ზონაში ტემპერატურა აღწევს 2000°C და ამ ზონაში დაყოვნების დრო > 2 წმ-ზე, რითაც უზრუნველყოფილია მდგრადი ორგანული ნაერთების სრული დესტრუქცია ნახშირორჟანგად და წყლის ორთქლად.



საკონტროლო წერტილების მანძილები საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან უახლოეს დასახლებამდე (სწ № 1-5) და 500 მ-იან ზონამდე (სწ № 6-9)

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

შემსრულებელი: შპს „გრინტექი“

დირექტორი

ი. მცხვეთაძე